განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## სადოქტორო პროგრამა საერთაშორისო ურთიერთობებში
## ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 2018 წლის 11 სექტემბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 2018 წლის 5 ნოემბერი

თბილისი
2018

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 204864548 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | საერთაშორისო ურთიერთობები |
| განათლების საფეხური | დოქტორანტურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | 0705 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 180 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტებული |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | გედიმინას ვიტკუსი, ვილნიუსის უნივერსიტეტი, ლიტვა |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | დავით გეგეჭკორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნანა ფირცხელანი, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სადოქტორო პროგრამა საერთაშორისო ურთიერთობებში მიზნად ისახავს საერთაშორისო ურთიერთობების მაღალი დონის მკვლევართა და პრაქტიკოსთა მომზადებას, რომლებიც კარგად ფლობენ საერთაშორისო პოლიტიკის თეორიულ საკითხებს, ისევე, როგორც პოლიტიკის, ეკონომიკის, კანონმდებლობის, სოციოლოგიის და თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკური პროცესების თეორიულ სფეროებს. პროგრამის ძირითადი ნაწილი ეძღვნება კვლევას. იგი, ასევე, მოიცავს სასწავლო კომპონენტს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკრედიტაციის ვიზიტი შედგა 2018 წლის 11 სექტემბერს. ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა და გაესაუბრა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, თვითშეფასების გუნდს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, დოქტორანტთა ხელმძღვანელებს, პროგრამის სტუდენტებს, დამსაქმებელთა წარმომადგენლებს, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის სახისხის უზრუნველყოფის სამსახურების ხელმძღვანელებს. სამუშაო დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა გამართა ძირითადი დასკვნების წინასწარი პრეზენტაცია.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ექსპერტთა ჯგუფმა პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მეშვეობით მოპოვებული ინფორმაციის, შესაბამისი თანდართული დოკუმენტაციისა და ადგილზე ვიზიტის საფუძველზე დაადგინა, რომ ზოგადად პროგრამა აკმაყოფილებს აკრედიტაციის სტანდარტებს. უფრო კონკრეტულად, პროგრამა მეტწილად შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან, სწავლის შედეგებთან, სწავლების მეთოდოლოგიასთან და ორგანიზაციასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. სრული შესაბამისობა მოთხოვნებთან შეინიშნება სტუდენტთა მიღწევების და მათთან ინდივიდუალური მუშაობის, სასწავლო რესურსებისა და სწავლების ხარისხის განვითარებასთან დაკავშირებული სტანდარტების მიმართ.

- **რეკომენდაციები**

ექსპერტთა ჯგუფმა ჩამოაყალიბა შემდეგი რეკომენდაციები:

- შემუშავდეს სწავლის შედეგების აღწერის ახალი ვერსია და მიეწოდოს უფრო დეტალური და სპეციფიკური სახით, საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინის შინაარსის პირდაპირი გამოყენებით;
- განახლდეს არჩევითი აკადემიური კურსის "თანამედროვე დებატები საერთაშორისო ურთიერთობებში" სილაბუსში მოწოდებული ლიტერატურის ნუსხა, რათა დაკმაყოფილდეს სტანდარტის მოთხოვნები ახალი კვლევების დასკვნებისა და თანამედროვე სამეცნიერო მიღწევების გათვალისწინების შესახებ.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

ექსპერტთა ჯგუფმა ჩამოაყალიბა შემდეგი რჩევები:

- პროგრამაზე დაშვების პირობები და პროცედურები, ისევე, როგორც შინაარსი და კურსების აღწერა ხელმისაწვდომი იყოს ინგლისურ ენაზე, იმ პერსპექტივით, რომ პროგრამას მეტი საერთაშორისო ხილვადობა მიეცეს და მოიზიდოს საერთაშორისო სტუდენტები;
- შემუშავდეს სტრატეგია და გამოინახოს რესურსები ფაკულტეტის წევრების ეტაპობრივი "დაბრუნებისათვის" სხვა სამსახურებიდან და მათი სრული დასაქმების უზრუნველყოფით ადეკვატური ხელფასით, რათა მიღწეულ იქნეს კვლევის მაღალი დონე და საერთაშორისო პუბლიკაციების მაღალი ხარისხი.
- გაგრძელდეს სახსრების მოზიდვის პროცესი და გაფართოვდეს საერთაშორისო კავშირები შესაბამის საერთაშორისო მკვლევარებთან, რათა უზრუნველყოფილ იქნეს გრძელვადიანი საერთაშორისო წარმატება.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

ექსპერტთა ჯგუფმა ჩამოაყალიბა საუკეთესო გამოცდილების შემდეგი მაგალითები:

- პროგრამის შინაარსი შემუშავებული იყო მაღალი რეპუტაციის მქონე უცხოურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით (ამ შემთხვევაში ოქსფორდის უნივერსიტეტთან);
- აშშ-დან და ევროპიდან საერთაშორისო ექსპერტების/აღიარებული პროფესორების მუდმივი ჩართულობა პროგრამის განხორციელებასა და მის შემდგომ გაუმჯობესებაში.;
- დოქტორის ხარისხის მოპოვების არსებითი წინაპირობაა სტუდენტების მიერ მინიმუმ ორი ნაშრომის პუბლიკაცია, რომელთაგან ერთი უნდა იყოს გამოქვეყნებული "Scopus"-ის ინდექსირებულ ჟურნალში.
- დოქტორანტთა აქტიური მონაწილეობა პროგრამის შემუშავების პროცესში და სწავლის შედეგების შეფასების პროცედურებში.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტაციისა და ადგილზე ვიზიტის გაანალიზების შემდეგ ექსპერტთა ჯგუფს შეუძლია დაადასტუროს, რომ პროგრამის მიზნები მკაფიო, რეალისტური და მიღწევადია. ისინი ასახავენ უნარებს, კვალიფიკაციებს და კომპეტენციებს, რომლებიც უნდა ჰქონდეთ პროგრამის კურსდამთავრებულებს და იმას, თუ როგორ შეაქვთ მათ წვლილი დისციპლინისა და საზოგადოების განვითარებაში. პროგრამა რელევანტურია და შეესაბამება სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და ზოგადად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიასა და განვითარების გეგმას. საერთაშორისო ურთიერთობების მაღალი დონის მკვლევარებისა და პრაქტიკოსების მომზადების მიზნით პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს და ურთავს საერთაშორისო კომპონენტს. მიზნები ხელმისაწვდომია დაინტერესებულთათვის (საჯარო ადმინისტრირების ინსტიტუციები და სამოქალაქო საზოგადოება) და გაზიარებულია პროგრამის დაინტერესებულ მხარეთა მიერ. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• თვითშეფასების ანგარიში<br>• თსუ-ს მისია(https://www.tsu.ge/en/about/mission_statement);<br>• თსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა https://www.tsu.ge/data/file_db/PR/2017-2021.pdf<br>• სსიპ თსუ-ის წესდება https://www.tsu.ge/data/file_db/sajaro/07matsne- 2014505-6.pdf<br>• სადოქტორო პროგრამის აღწერა;<br>• აკადემიური კურსების სილაბუსები (დანართი 1);<br>• ინტერვიუები ადგილზე ვიზიტისას |
| **რეკომენდაციები:** |

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტაციისა და ადგილზე ვიზიტის გაანალიზების შემდეგ ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ ზოგადად პროგრამის სწავლის შედეგები შეესატყვისება პროგრამის მიზნებს. პროგრამის აღწერის შესაბამისად, კურსდამთავრებულებს გააჩნიათ საერთაშორისო და უცხოური პოლიტიკის საკითხებზე ინოვაციური კვლევის განხორციელებისა და ანალიტიკური სამუშაოს დამოუკიდებლად ჩატარების უნარი; პროფესიული საქმიანობის უნარი საჯარო სამსახურში, საჯარო სექტორში და საერთაშორისო ორგანიზაციებში. ასევე, თანამედროვე მეთოდოლოგიის გამოყენებით უსდ-ში სწავლების უნარი.

| |
|---|
| სწავლის შედეგების აღწერა მოიცავს ყველა საჭირო კომპონენტს, როგორებიცაა (ა) ცოდნა და გაცნობიერება, (ბ) ცოდნის გამოყენების უნარი, (გ) ახალი ცოდნის გენერირების უნარი, (დ) საჭირო კომუნიკაციის უნარ-ჩვევები, (ე) ცოდნის სხვებისათვის გაზიარების უნარი და (ვ) აკადემიური ეთიკის პატივისცემა. პროგრამას გააჩნია კურიკულუმის რუკა, რომელიც ნათლად აჩვენებს, რომ თითოეული კურსი ანვითარებს კონკრეტულ სწავლის შედეგს ან შედეგებს.<br><br>პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს შეუძლია დაადასტუროს, რომ ეს მექანიზმები ამოქმედებულია. სწავლის შედეგების შეფასების შედეგების პროცედურისა და განხილვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია გათვალისწინებულია უნივერსიტეტის წესდებასა და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი დეტალურად ეცნობა შეფასების შედეგებს ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მეშვეობით.<br><br>ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ პროგრამის სწავლის შედეგები ყოველწლიურად რეგულარულად ფასდება პროგრამის კომიტეტის მიერ. პროგრამის კომიტეტი ყოველი აკადემიური წლის ბოლოს აწვდის პროგრამის ხელმძღვანელსა და საერთაშორისო ურთიერთობების კათედრას საკუთარ რეკომენდაციებსა და მოსაზრებებს. ეს მექანიზმი უხსნის პირდაპირ გზას სწავლის შედეგების შეფასების შედეგების გამოყენებას მთელი პროგრამის გაუმჯობესებისათვის.<br><br>მეორეს მხრივ, პროგრამის სწავლის შედეგების აღწერილობას ჯერ კიდევ აქვს გარკვეული გაუმჯობესების შესაძლებლობა. იგი შესაძლოა იყოს ნაკლებად ზოგადი და უფრო მეტად კონკრეტული, საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინის შინაარსის უშუალო გამოყენებით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• ინტერვიუს შედეგები, სადოქტორო პროგრამა და აკადემიური კურსების სილაბუსები (დანართი 1)<br>• პროგრამის განვითარების ოქმი (დანართი 2),<br>• კურიკულუმის რუკა (დანართი 15.5)<br>• სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი (დანართი 15.3);<br>• მიზნებისა და სწავლის შედეგების რუქა (დანართი 15.5)<br>• თვითშეფასების ანგარიში<br>• ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს |
| • **რეკომენდაციები:** |

| |
|---|
| • რეკომენდებულია, რომ შემუშავდეს სწავლის შედეგების ახალი ვერსია და მიეწოდოს იგი უფრო მეტად დეტალური და კონკრეტული ფორმით, საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინის შინაარსის უშუალო გამოყენებით. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | X | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტაციის გაანალიზებისა და ადგილზე ვიზიტის შედეგად, ექსპერტთა ჯგუფს შეუძლია დაადასტუროს, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის მახასიათებლებს (იგი მოითხოვს მაგისტრის ხარისხს სოციალურ და/ან ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, ხოლო მაგისტრის ხარისხი "საერთაშორისო ურთიერთობებში" პრიორიტეტულია. დებულება უზრუნველყოფს რელევანტური ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე სტუდენტთა დაშვებას პროგრამაზე. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურადაა დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან, მას შემდეგ, რაც განმცხადებლები წარმოადგენენ სამოტივაციო წერილს და საერთაშორისო ურთიერთობებთან დაკავშირებულ წერილობითი ნაშრომის ნიმუშებს. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება არსებულ კანონმდებლობას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები არის სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი ქართულ ენაზე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>**თვითშეფასების ანგარიში**<br><br>• სადოქტორო პროგრამის აღწერილობა (დანართი 1)<br>• დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი (დანართი 4)<br>• სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურა და სადისერტაციო საბჭო: https://tsu.ge/data/file_db/faculty_social_political/debuleba2018-ianvari.pdf<br>• სიპპ თსუ-ს წესდება https://www.tsu.ge/data/file_db/sajaro/07matsne- 2014505-6.pdf<br>• TSU Website www.tsu.ge<br>• სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება https://www.tsu.ge/ge/faculties/social/news/ |

- ინტერვიუები ვიზიტის დროს

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

ექსპერტთა ჯგუფი სთავაზობს გახადონ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები ხელმისაწვდომი ინგლისურ ენაზეც იმ პერსპექტივით, რომ მიეცეს პროგრამას მეტი საერთაშორისო ხილვადობა და მოიზიდოს საერთაშორისო სტუდენტები.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშა
განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე
წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შ
სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვა
შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

თვითშეფასების ანგარიშმა, თანდართულმა დოკუმენტაციამ და ადგილზე ვიზიტმა დაარწმუნა
ჯგუფი, რომ პროგრამა შედგენილია საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, დიზაინისა და შ
თაობაზე თსუ-ს მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგი

| |
|---|
| შედგება 180 კრედიტისაგან, საიდანაც სასწავლოკომპონენტია 40 კრედიტი და კვლევითი კომ 140კრედიტი. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და უზრუ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამა სტრუქტურირებულია საქართველოს კანონმდებ კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად. სასწავლო კ ითვალისწინებს სავალდებულო და არჩევით კურსებს. სასწავლო კომპონენტის შინაარსი ითვა დაშვების წინაპირობებს არჩევით კურსებში შემდეგი დისციპლინების ჩართვით, როგორებიცაა "კ ტექსტები საერთაშორისო ურთიერთობებში" და "თანამედროვე დებატები სართაშორისო ურთიერთ კურსები კონკრეტულად გამოსადეგია სტუდენტებისათვის, რომლებსაც ხარისხი მიღებული აქვთ საერ ურთიერთობებისაგან განსხვავებულ პროგრამებზე.<br>პროგრამის კვლევითი კომპონენტის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი არ ზღუდავს სა დისერტაციის მომზადებას, თუმცა, ამასთან, უზრუნველყოფს პროცესის უწყვეტ მონიტორინგს და მ რეგულარულ შეფასებას კოლოქვიუმის ფორმით. რაც შეეხება ყველა დაინტერესებული მხარის მონ პროგრამის დიზაინში, ექსპერტთა ჯგუფს შეუძლია დაადასტუროს, რომ ამ სტანდარტის მოთხოვნები |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>✓ პროგრამის აღწერილობა და სტრუქტურა (დანართი 1);<br>✓ განვითარების კომიტეტის შეხვედრების ოქმები (დანართი 2);<br>✓ სადოქტორო პროგრამების შემუშავების ინსტრუქცია (დანართი 7);<br>✓ თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება პროგრამის აკრედიტაციის კომიტეტების დამტკიცების თაობაზე https://www.tsu.ge/en/juridical/axad_council_resolutions/2018acad/742018//<br>✓ ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს ს მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>ექსპერტთა ჯგუფი სთავაზობს გახადონ პროგრამის შინაარსი და კურსების აღწერა ხელმისაწვდომი ენაზეც იმ პერსპექტივით, რომ მიეცეს პროგრამას მეტი საერთაშორისო ხილვადობა და მოიზიდოს საერ სტუდენტები. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>• პროგრამის შინაარსი შემუშავებულ იქნა მაღალი რეპუტაციის მქონე უცხოურ უნივერსიტეტთა თანამშრომლობით (ამ შემთხვევაში ოქსფორდის უნივერსიტეტთან).<br>• აშშ-დან და ევროპიდან საერთაშორისო ექსპერტების/აღიარებული პროფესორების მუდმივი ჩა პროგრამის განხორციელებასა და მის შემდგომ გაუმჯობესებაში. |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაც (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფს შეუძლია დაადასტუროს, რომ ზოგადად ყველა სავალდებულო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო თითოეული კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესატყვისება კურსის სწავლის შედეგებს. რაც შეეხება სტანდარტის მოთხოვნას პროგრამის შინაარსისადმი, რომ ითვალისწინებდეს ახალი კვლევების დასკვნებსა და თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებს, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ აღმოაჩინა რაიმე სერიოზული შეუსაბამობა, თუმცა, აუცილებელია აღინიშნოს, რომ არჩევითი აკადემიური კურსის "თანამედროვე დებატები საერთაშორისო ურთიერთობებში" სილაბუსში მითითებული ლიტერატურა განეკუთვნება მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები (დანართი 1)

- კურიკულუმის რუკა (დანართი 15.5)
- ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს

**რეკომენდაციები:**

- ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ განახლდეს არჩევითი აკადემიური კურსის "თანამედროვე დებატები საერთაშორისო ურთიერთობებში" სილაბუსში მითითებული ლიტერატურა, რათა დაკმაყოფილდეს სტანდარტის მოთხოვნა ახალი კვლევების დასკვნებისა და თანამედროვე სამეცნიერო მიღწევების გათვალისწინების თაობაზე.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნ განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, რელევანტური თანდართული დოკუმენტების და ად ვიზიტისას მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა დაადასტურა, რომ პრ უზრუნველყოფს სტუდენტთა კვლევის ეფექტურობის განვითარებას მათი ჩართვით კვლევით პროე პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად. კურსის პროგრამის მიხედვით (სადოქტორო სემინ ასისტენტობა და ა.შ.) დოქტორანტებს აქვთ შესაძლებლობა, რომ პროფესორთა ხელმძღვანელობით ცოდნა და უნარები - ანალიტიკური, კვლევითი, გადაწყვეტილების მიღების, დაგეგმვის. მათ, ასევე, ასწ თუ როგორ უნდა ასწავლონ და უხელმძღვანელონ და ჩაერთონ ინდივიდუალური კვლევითი პროე განხორციელებაში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში
- სადოქტორო პროგრამა და სილაბუსები (დანართი 1)
- კურიკულუმის რუკა (დანართი 15.5)
- სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამართლებრივი აქტები: https://www.tsu.ge/ge/faculties/social/nw8jtxipx4jns0cg-/
- ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყო სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

დოქტორის ხარისხის მოპოვების ძირითადი წინაპირობა არის სტუდენტის მიერ მინიმუმ ორი პუბლი ქონა, რომელთაგან ერთი უნდა იყოს "Scopus"-ინდექსირებულ ჟურნალში.

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ექსპერტთა ჯგუფმა დაადასტურა, რომ პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლისა და სწავლების მეთოდის გამოყენებით. სწავლებისა და სწავლის შემდეგი მეთოდები - პრაქტიკული მუშაობის მეთოდი, წერითი მეთოდი, ელ-სწავლის ელემენტები, ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის მეთოდი, დემონსტრირების და კაზუსის ანალიზის მეთოდი, დისკუსიის მეთოდი - ხელს უწყობს სტუდენტის ჩამოყალიბებას დამკვიდრებულ შემსრულებლად და მკვლევარად. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და ზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ✓ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- ✓ სილაბუსები
- ✓ ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს, რომ სტუდენტთა შეფასება ხდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. იგი გამჭვირვალეა და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. ვინაიდან პროგრამას ჯერ კიდევ არ ჰყავს კურსდამთავრებული, ექსპერტთა ჯგუფი ვერ ადასტურებს იმას, რომ სადისერტაციო ნაშრომის დაცვასთან დაკავშირებული სტანდარტი დაცულია. თუმცა, თვითშეფასების ანგარიშით წარმოდგენილი ინფორმაცია და ინტერვიუს შედეგები არ იძლევა ეჭვის შეტანის საფუძველს იმაში, რომ ეს სტანდარტი არ განხორციელდება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამის აღწერილობა და სილაბუსები (დანართი 1)
- "სსიპ თსუ-ში სასწავლო პროცესის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ", https://www.tsu.ge/en/juridical/axad_council_resolutions/rrub//
- სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურა და სადისერტაციო საბჭო:

| |
|---|
| https://tsu.ge/data/file_db/faculty_social_political/debuleba%202018 -ianvari.pdf<br>• დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტები (დანართი 4) ინტერვიუები ადგილზე ვიზიტისას |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>• შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

